ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №261028

ნომერი: AR161526

თარიღი : 26.06.2012

გაცემის თარიღი : 13.07.2012

გაცნობის თარიღი : 17.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004);

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზი ჩალაძე პ/ნ 01017027584
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 14

ორგანიზაცია:
- ს.ს. ქართუ ჯგუფი კოდი: 204876642

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 01 მარტის №01/518 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 26 ივნისს №Aღ161526 განცხადებით მომართა სს "ქართუ ჯგუფი"-ს (იდ 204876642) წარმომადგენელმა რევაზ ჩალაძემ (13.06.2012წ. №119 მინდობილობა) და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 01 მარტის №01/518 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაზე წარმოდგენილი გეგმა-ნახაზების დამატება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 01 მარტის №01/518 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, კოჯრის გზატკეცილი №13 / კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ / კოჯრის გზატკეცილი №13-ის მიმდებარედ (ნაკვ. №06/004) შეთანხმდა არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (სატუმროს ფუნქციით) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (№ნ/519-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა).
სამსახურმა გადაამოწმა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს, კერძოდ: განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ნახაზებზე გამორჩენილია შენობის ფასადების ცოკოლის აგურით მოპირკეთება და +4.38 ნიშნულის გეგმაზე არ არის მითითებული კიბის უჯრედის წინ მდებარე ფილის სიგანის ზომა (1.48 მ.).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, და ვინაიდან აღნიშნული ხარვეზის გასწორება არ იწვევს გავლენებს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ძირითად მაჩვენებლებზე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია 2012 წლის 01 მარტის №01/518 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაამატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის ფასადის ახალი ნახაზები და +4.38 ნიშნულზე სართულის გეგმა ფილის სიგანის დატანით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 01 მარტის №01/518 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შენობის ფასადის ახალი გეგმა–ნახაზები და +4.38 ნიშნულზე სართულის გეგმა ფილის სიგანის დატანით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 01 მარტის №01/518 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.